ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 32
(11 591)

26 – 29 აპრილი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნინო სალუქვაძე „მსოფლიო თასის" მფლობელი და პირველი ოლიმპიური ლიცენზიანტია საქართველოდან

1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი ნინო სალუქვაძე კვლავ ინარჩუნებს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მსროლელის იმიჯს, რაც მან ახლა კიდევ ერთხელ დაადასტურა, მოიგო რა 10 მ-ზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში „მსოფლიოს თასი". ძირითადად ვარჯიშში ნინომ 381 ქულა დაიმსახურა, ფინალში სასწაული მოახდინა — მოაგროვა 102 ქულა, რაც უნიკალური შედეგია და ფაქტობრივად, მიუწვდომელი გახდა მეტოქეებისთვის (ჯამში 483 ქულა).

საგულისხმოა, რომ როგორც ადრე, ამჯერადაც ნინომ ამ წარმატებით გახსნა მომავალი ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოპოვების სია ჩვენი ქვეყნისთვის.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს საქართველოში „მსოფლიო თასის" ჩამობრძანება!



## ჩემპიონთა ლიგა


„მანჩესტერი" - „ბაიერი"

5

„თავმჯდომარის სავარძელი"

## მე რომ ხელმძღვანელი ვიყო,



### აღვადგენდი სპორტულ საზოგადოებებს

თავის დროზე ქართული სპორტის აღმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანეს სპორტულმა საზოგადოებებმა, რომლებიც მასობრივ სპორტზე ყურადღების გამახვილებით დიდ სპორტში გზას უხსნიდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს. რაც მთავარია, ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები, როგორც თვით ამ სპორტულ საზოგადოებებში, ისე საზოგადოებებს შორის, სადაც რჩეულები ასპარეზობდნენ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა კონკურენციას, კონკურენცია – სპორტსმენთა ოსტატების ამაღლებას, აღარაფერს ვამბობ უწყვეტ მოტივაციაზე. ასე რომ, მე რომ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვიყო, ყველაფერს ვიღონებდი საქართველოში სპორტული საზოგადოებების აღსადგენად, თორემ რა გამოვიდა, ძველი დავკარგეთ, ვერც საკლუბო სისტემაზე გადავედით.

აღვადგენდი აგრეთვე სტუდენტთა თამაშებს, რომელიც ასევე დიდ სტიმულს აძლევდა ქართული სპორტის განვითარებას

ავთანდილ გუნია,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსების ორდენოსანი.

## იუჯანსონი კიდევ ოთხი წლით დარჩა, ჩივაძე კი უეფამ დააჯილდოვა

4




საკრამენტო - იუტა

6

## მეორე ეტაპის მესამე ტურის კალენდარი


კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

I-VI ადგილები

***27 აპრილი:*** ბასკო — თსუ 12.00. დინამო — მაკაბი 14.00. აზოტი — სტუ-ჯეოსელი 16.00.

***28 აპრილი:*** აზოტი — თსუ 12.00, სტუ — მაკაბი 14.00, ბასკო — დინამო. 16.00.

***29 აპრილი:*** მაკაბი — აზოტი 12.00, თსუ — დინამო 14.00 სტუ-ჯეოსელი — ბასკო, 16.00.

***30 აპრილი.*** დასვენების დღე.

***1 მაისი:*** დინამო — აზოტი 12.00, მაკაბი — ბასკო, 14.00, თსუ — სტუ-ჯეოსელი 16.00.

***2 მაისი:*** ბასკო — აზოტი, 12.00, მაკაბი — თსუ — 14.00 სტუ — დინამო, 16.00.

***მატჩები გაიმართება სპორტის სასახლეში.***

## გაზეთის დაბეჭდვის წინ

## მაია ლომინეიშვილი საქართველოს ჩემპიონია

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა მოჭადრაკე ქალთა საქართველოს რიგით 59-ე ჩემპიონატი. წრიული სისტემით გამართულ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 ქალი. ბოლო ტურის წინ მაია ლომინეიშვილს 8,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერის პოზიცია ეკავა. გადამწყვეტ, მეცამეტე ტურში ის ყაიმს დასჯერდა სოფიკო ტერელაძესთან.

ზედიზედ მეხუთე პარტია მოიგო ანა მათნაძემ, ამჯერად, სოფიკო ტყეშელაშვილთან. ბოლო ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: ვახანია — ძაგნიძე 0:1, ხუხაშვილი — მელია 0,5:0,5, წერეთელი — ქარხალაშვილი 0,5:0,5, გვეტაძე — ნიკოლაძე 1:0, ჯავახიშვილი — ხუხაშვილი 0,5:0,5; საბოლოოდ I-II ადგილები 9-9 ქულით გაიყვეს მაია ლომინეიშვილმა და ანა მათნაძემ. უკეთესი კოეფიციენტი ლომინეიშვილს აღმოაჩნდა და ქვეყნის ჩემპიონიც ის გახდა. რაც შეეხება ანა მათნაძეს, მან დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

მესამე საპრიზო ადგილი სოფიკო ნიკოლაძემ დაიკავა. საინტერესოა, რომ ბოლო ტურში წარმატების შემთხვევაში ისიც შეასრულებდა დიდოსტატის ნორმატივს, თუმცა გვეტაძის წინააღმდეგობის დაძლევა სოფიკომ ვერ შეძლო. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა:

4-5. სოფიკო ტერელაძე, სოფიკო ტყეშელაშვილი — 7,5:7,5, 6-7. თამარ წერეთელი (შეასრულა საე[...]აშორისო



ოსტატის ნორმატივი), სოფიკო ხუხაშვილი — 7-7. 8. ნანა ძაგნიძე — 6,5. 9. ინგა ხურცილავა — 6, 10-11. ინგა ქარხალაშვილი, ლელა ჯავახიშვილი 5,5-5,5, 12. სოფიკო გვეტაძე — 5, 13. სალომე მელია — 4,5, 14. ალექსანდრა ვახანია.

თენგიზ ჩოგანიძე.

## ქართველი მორაგბეები მზადებას საგანგებო გეგმით იწყებენ

3

## ორდენი ბეკენბაუერს



უეფა-ს გენერალურმა დირექტორმა გერჰარდ აიგნერმა გუშინ, სტოკჰოლმში, უეფას ორდენი გადასცა წარსულში ლეგენდარულ ფეხბურთელს და ამჟამად მიუნხენის „ბავარიის" პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს. 2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ეს ჯილდო დაიმსახურა ფეხბურთის წინაშე დიდი დამსახურებისათვის.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1974 წელს, 1990 წელს კი მისი ხელმძღვანელობით გერმანიის გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

## უძლიერესები პრაღაში იკრიბებიან

28 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, პრაღაში ჩატარდება მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც პრაქტიკულად თავს მოუყრის მსოფლიოს საჭადრაკო ელიტას. ჩეხეთის დედაქალაქში არ ჩავა მხოლოდ ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი რუსეთელი რუსლან პონომარიოვი. ტურნირის საპრიზო ფონდია 500 ათასი ევრო. ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩატარდება იასერ სეირავანის სამიტი, რომელშიაც მსოფლიო უძლიერეს მოჭადრაკეთა გარდა, მონაწილეობას მიიღებს ფიდე-ს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი.

## ჩინეთს შეიძლება 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება ჩამოართვან

თუ ჩინეთის ხელისუფლება გადამჭრელ ღონისძიებებს არ გაატარებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დასაცავად, პეკინს შეიძლება ჩამოერთვას 2008 წელს ამ ქალაქში ოლიმპიური თამაშების გამართვის უფლება. ასეთი გაფრთხილება ოფიციალურად დააფიქსირა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩინეთში თამაშების ჩატარების უფლების მოპოვება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვას" — უთხრა მან ბი-ბი-სის კორესპონდენტს და დასძინა: „თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, აგრეთვე არ იქნება უზრუნველყოფილი უსაფრთხოება და არ გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურა, იძულებული გავხდებით გავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები".

მართალია, ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვა არ შედის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კომპეტენციაში, მაგრამ სოკ-ი მჭიდროდ თანამშრომლობს ამ საკითხში გაეროს შესაბამის სტრუქტურებთან და ითვალისწინებს მის პოზიციას.

## ...საკითხი ეხება სპორტის სასახლის წრიულ ვესტიბიულში, მარმარილოს ფილებზე, ღირსეულთა შორის ღირსეულ სპორტსმენთა სახელების ამოტვიფრას.

2

## ყაზახეთი ევროპაშია

გუშინ, ყაზახეთის დიდი ხნის თავგამოდებული მცდელობა, გამხდარიყო ევროპის საფეხბურთო ასოციაციის წევრი, წარმატებით დასრულდა. ეს ქვეყანა უეფას 52-ე წევრი გახდა. შარშან ივნისში ყაზახეთმა ოფიციალურად დატოვა აზიის საფეხბურთო კონფედერაციის რიგები.

## „არსენალის" ჰიმნი – ინგლისის ნაკრებს

ლონდონის „არსენალის" ჰიმნის რემიქსი გუშ[...] ოფიციალურად დაამტკიცეს ინგლისის საფეხბურთო [...]კრების ჰიმნად 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათ[...]ს. [...]სმღერის პრეზენტაცია შედგება 27 მაისს, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე.

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 4 თვე დარჩა

torino 2006

# ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 10 თვე გვაშორებს

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# «ლელოს» რედაქციას!

ჯერ კიდევ 2000 წლის მაისში „ლელოში" გამოქვეყნდა წერილი „უკვდავყოთ ღირსეულთა სახელები". სამწუხაროდ, შემდგომში ოფიციალური პირებისადმი ჩემმა თხოვნამაც შედეგი არ გამოიღო.

საკითხი ეხება სპორტის სასახლის წრიულ ვესტიბიულში, მარმარილოს ფილებზე, ღირსეულთა შორის ღირსეულ სპორტსმენთა სახელების ამოტვიფრას.

ფინელებმა სახელოვან მორბენალს, ოლიმპიურ ჩემპიონს პაოლო ნურმის, სიცოცხლეშივე დაუდგეს ბრინჯაოს ძეგლი.

მოსკოვში დიდი ზარ-ზეიმით აფიქსირებენ ნანი ბრეგვაძის და ვახტანგ კ..აბიძის ე.წ. ყველაზე პრეს-„ვარსკვლავებს". ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ ჩვენს ღირსეულთა შორის ღირსეულებს, რომელთა სახელით ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა, მარმარილოს ფილაზე მათი სახელი ვერ დავწერეთ. (!)

ზემოხსენებული ღონისძიების სისრულეში მოყვანის მიზნით, სასურველია შეიქმნას კომპეტენტური კომისია, შემუშავდეს ღირსეულთა შერჩევის დებულება და შემუშავდეს ესკიზი.

რაც შეეხება მარმარილოს ფილების შერჩევას (დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებში მრავლადაა ნებისმიერი ზომის, ფორმისა და ფერის მარმარილოს ფილები) და ამოტვიფრის ღირებულება იმდენად მცირეა, რომ მასზე საუბარიც კი უხერხულია.

დარწმუნებული ვარ, ქართველი სპორტსმენები და ქვეყნის ფართო საზოგადოება მოწონებით შეხვდება ზემოხსენებული ღონისძიების განხორციელებას.

პატივისცემით

ბიჭი ყირმელაშვილი

**რედაქციისაგან:** „ლელოს" რედაქცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ზემოხსენებულ თაოსნობას.



საგზატკეცილო ველორბოლა

# შვიდი უძლიერესი გამოვლინდა

როგორც წესი, საგზატკეცილო ველორბოლაში დაგეგმილი შეჯიბრება ნებისმიერ ამინდში უნდა ჩატარდეს. ამ მხრივ ნამდვილად არ გაუმართლათ საქართველოს ველომრბოლელებს, რომლებმაც შეჯიბრების სამივე დღეს წვიმიან-ნისლიან ამინდში იასპარეზეს. აქ 7 უძლიერესი უნდა შერჩეულიყო, რომლებსაც აპრილის ბოლოს, ერევანში, საერთაშორისო შეჯიბრებაში მოუწევთ გამოსვლა.

პირველი ეტაპი გაიმართა კახეთის გზატკეცილზე 15 კმ-იან დისტანციაზე, მეორე — კოჯორში, მესამე — თბილის — ანანურის გზატკეცილზე, ჯვრის მონასტერთან ფინიშით. უძლიერესი და პრიზიორები სამი ეტაპის ჯამით ვლინდებოდა. სამწუხაროდ, მსაჯთა კოლეგიამ მცირე შეცდომა დაუშვა, როცა თითოეულ ეტაპზე წამების დარიცხვით დროის ბონიფიკაცია არ გაითვალისწინეს.

პირველობა მოიპოვა გიორგი ნადირაძემ, მეორე იყო არჩილ მახარაშვილი (ორივე — თბილისი), მესამე თემურ ძიძიგური (ქობულეთი), შემდეგ მოდიან: რამაზ მანაგაძე (ლაგოდეხი), ბაჩანა გიორგაძე, ამირან ლებანიძე, კახა ლოსაურაშვილი (სამივე — თბილისი). მწვრთნელები არიან: თამაზ კიკნაძე, თენგიზ სამბაშიძე, გია დემურაძე, ხვიჩა გავაშელი, ხვიჩა ბარბაქაძე, გია ქოჩაკიძე. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის, ქუთაისის, ლაგოდეხის, თბილისის მერიის ველოსკოლის, „კოკა-კოლას" ველოსკოლის წარმომადგენლები.

ერევნის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ბათუმში, მაისში გაიმართება კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი.

**ავთანდილ გუნია,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

# კორესპონდენტი დოცენტის ხარისხით

ჟურნალისტობასაც ღვთით მომადლებული ნიჭი ესაჭიროება. ნიჭი კი მუდამ ითხოვს გასაქანს, ადამიანს მანამ არ მოასვენებს, ვიდრე სწორ გზაზე არ დააყენებს. როგორც წესი, ნიჭისმიერი მისწრაფება ადრეულ ასაკშივე ვლინდება. ვაჟა დანელიასაც მოსწავლეობის ასაკშივე გაუჩნდა ჟურნალისტობისადმი ინტერესი. მორცხვი იყო, ხმამაღლა არავის უმხელდა. ასევე თან დაჰყვა წიგნის სიყვარული, განსაკუთრებით პოეზიისადმი მიდრეკილება. ხანდახან რაღაც რაღაცეებსაც რითმავდა, ისე, გუნებაში, თავისთვის.

მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სკოლას რომ დაამთავრებდა, ჟურნალისტიკის სპეციალობაზე ჩაებარებინა უნივერსიტეტში. მაგრამ ჯერ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დამთავრება ამჯობინა. რიგითმა ჯარისკაცმა სწორედ მაშინ გამოაქვეყნა პირველი წერილი კიევის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიაში", შემდეგ კი ცხაკაიას რაიონულ გაზეთ „კოლხეთში" დაიწყო თანამშრომლობა.

მოხდა ისე, რომ მისაღები გამოცდები პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა. დამთავრებისთანავე დატოვეს ასპირანტურაში. ერთი წლის შემდეგ უკვე ლექციებს კითხულობს სტუდენტებთან, დაიცვა დისერტაცია, გახდა დოცენტი. ჟურნალისტობაზე ოცნება ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ამ ხნის განმავლობაში.

„მუდამ ვფიქრობდი, რომ ჟურნალისტიკის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი. ვბეჭდავდი წერილებს ინსტიტუტის მრავალტირაჟიან „საბჭოთა პედაგოგში", „ახალგაზრდა კომუნისტში", „ლელოში", „მოლოდიოჟ გრუზიაში", „სახალხო განათლებაში" — იგონებს ვაჟა.

ჟურნალისტიკამ იმდენად გაიტაცა, მეორე კურსის სტუდენტს, უნივერსიტეტში სურდა სწავლის გაგრძელება. საბოლოოდ მიხეილ კაკაბაძის რჩევამ აალებინა ხელი ამ განზრახვაზე. იმ პერიოდში „ლელოს" რედაქტორი, შეთავსებით მომავალ ჟურნალისტებს უკითხავდა ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში. დამეხმარეო — მორიდებით სთხოვა რედაქტორს, რომელიც მის შესაძლებლობებს დიდად აფასებდა. არ ურჩია, დაარწმუნა, რომ ინსტიტუტში ფილოლოგის პროფესიას დაუფლებოდა და მეტი გასაქანი ექნებოდა, ჟურნალისტს კი მხოლოდ გაზეთში უნდა ემუშავა, რაც მას უკვე ისედაც შეეძლო. მიხეილ კაკაბაძემ მაინც უთხრა: თუ ძალიან გინდა და საბოლოოდ გადაწყვეტ, რა თქმა უნდა, დაგეხმარებიო.

მოკლედ, თავისი ძირითადი საქმიანობა და ჟურნალსტობა კარგად შეახამა ერთმანეთთან. ასე გრძელდება დღემდე. „დილის გაზეთი" ახალი დაარსებული იყო, სპორტული განყოფილების რედაქტორობა რომ ჩააბარეს. მერე სამუშაოდ გადავიდა ჟურნალ „საქართველოს ტელეკომუნიკაციის" პასუხისმგებელ რედაქტორად. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" ტრადიციულად უამრავი მკითხველი ჰყავს და, რა დასამალია, ასევე ტრადიციულად, ვინც ხელში აიღებს ამ პოპულარულ გაზეთს, ახლაც, ალბათ, თვალი უპირველესად სპორტული გვერდისკენ გაურბის. 1977 წლიდან ამ გაზეთში სისტემატურად იბეჭდება ვაჟა დანელიას სხვადასხვა ჟანრის წერილები, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ საქმის ღრმა ცოდნით, კომპეტენტურობით, ლოგიკური ანალიზით, გამართული ქართულით... არასდროს გამოედევნება იაფფასიან სენსაციას. ვაჟა დანელია სწორედ ისეთი კორესპონდენტია, ამ გაზეთის ღირსებას რომ შეეფერება.

ამბობენ: ლექსები ავტორს ჰგავსო. ვაჟა დანელიამ შარშან ლექსების პატარა კრებულითაც გაგვაცნო თავი — უკვე როგორც პოეტმა. არ შეიძლება არ დაეთანხმო პოეტ ვახტანგ ხარჩილავას, რომელმაც კრებულს ასეთი სიტყვები წაუმძღვარა: „ეს ლექსები გვხიბლავს არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმით, არამედ იმითაც, რომ სინათლით, კეთილგანწყობითა და ლმობიერებით გამსჭვალულნი საოცრად ჰგვანან თავიანთ ავტორს".

**თ. თომაშვილი**

## დაჯილდოება

**ქართული სპორტის პროპაგანდაში გაწეული პირადი დიდი წვლილისა და დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით დაჯილდოვდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, დოცენტი ვაჟა დანელია.**

სპორტული ცეკვები. საქართველოს ჩემპიონატი

# კლასი მაღალი, ოსტატობა – დახვეწილი

თბილისში გამართულ ამ ასპარეზობაში მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ ქუთაისის, ახალციხისა და ბორჯომის კლუბების წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ რაც დრო გადის, აშკარა ხდება ჩვენი მოცეკვავე წყვილების მაღალი კლასი, რჩეულები კი წარმატებით გამოდიან საერთაშორისო ტურნირებში. საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში ცნობილი წყვილების გარდა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს შედარებით ახალბედებმა.



**კვარცხლბეკი: 6 ცეკვა. ნორჩები:** 1. გიორგი ტყეშელაშვილი — თათია ქუთათელაძე, 2. დემნა სოზაშვილი — ლიკა კაკალაშვილი (ორივე წყვილი — „თელა"), 3. გიორგი იაკობიძე — მარი მელიქიშვილი („ელეგია"); **6 ცეკვა.** მოზრდილები: 1. გიორგი ნადირაშვილი — თათია ქრისტესაშვილი, 2. ლევან ნარიმანიძე — თეონა ავლოხაშვილი, 3. მარი ზერაგია — თათია ნადირაძე (ყველა — „თელა"); **6 ცეკვა. დიდები:** 1. გიორგი ჭიჭიკოშვილი — ანა მელქაძე („ელეგია"), 2. თენგიზ გელაშვილი — ვერიკო ბაინდურაშვილი, 3. ბესიკ რთველიაშვილი — თამთა სიმონიშვილი (ორივე წყვილი — „თელა"); **9 ცეკვა. იუვენალი-1:** 1. ოთარ ფოლადაშვილი — ქეთი ცხადაძე („ელეგია"), 2. გიორგი და ნინო კვიცარიძეები, 3. ლაშა ჭინჭარაძე — ქეთი კობახიძე (ორივე წყვილი — „თელა"); **10. ცეკვა. იუვენალი-2:** 1. რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი („თელა"), 2. ლევან ხოჭოლავა — ნინო გელაშვილი („ელეგია"), 3. თორნიკე ფოჩხუა — მარიამ გოთაძე („თელა"); **იუნიორი-1. ევროპული ცეკვები:** 1. გიორგი მეგრელიშვილი — ნინო კოროხაშვილი („ელეგია"), 2. ნიკოლოზ ნიკონოვი — ეკა ჩარკვიანი („ქუთათელა"), 3. ნიკა გაჩავა — ნათია ჯაყელი („თელა"); **10 ცეკვა. იუნიორი-2:** 1. პაატა ჩუტკერაშვილი — ლაურა ქველაძე („ელეგია"), 2. ჯაბა შანავა — თამთა ლაზაძე („აისი"), 3. ნიკა გაჩავა — ნათია ჯაყელი („თელა"); **ახალგაზრდები. ლათინოამერიკული ცეკვები:** 1. რაფაელ ანანიკიანი — ნინო ქოთოლაშვილი („თელა"), 2. გიორგი ორველაშვილი — ლეილა ჩქარეული („ელეგია"), 3. ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გუგავა („თელა"). **უფროსები:** 1. დათო კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 2. ზურაბ კიკაბიძე — თინა გუგავა (ორივე წყვილი — „თელა"), 3. გიორგი ორველაშვილი — ლეილა ჩქარეული („ელეგია").



*დათო კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი საქართველო სპორტული ცეკვების ასოციაციის პრეზი~~ნტ თ. გაჩეჩილაძესთან ერთად*

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

## კრივი. საქართველოს 2002 წლის ჩემპიონატი

***48 კგ:*** 1. მიხეილ გოგებაშვილი (ვარიანი), 2. ნიკა იზორია, 3. გიორგი მაკალათია (ორივე - ფოთი) და გუგული აბაზაშვილი (ვარიანი); ***51 კგ:*** რამაზ ბებნაძე, 2. შალვა ჯომარდაშვილი (ორივე - ვარიანი), 3. ცოტნე ცანავა (ბათუმი) და კახა თარიმანაშვილი (თბილისი); ***54 კგ:*** 1. ლაშა ოჩიგავა (ფოთი), 2. დავით ფალვალიანი (ვარიანი), 3. აკაკი წერეთელი (ჭიათურა) და ლევან რუხაძე (ფოთი); ***57 კგ:*** 1. ავთანდილ კაშია (ქუთაისი), 2. კოტე კუპატაძე (თბილისი), 3. ოთარ ნონიკაშვილი და დიმიტრი გულიაშვილი (ორივე — გორი); ***60 კგ:*** 1. გოჩა რუსია (ფოთი), 2. ბადრი კერესელიძე (ვარიანი), 3. კარლო ტაბაღუა (ქუთაისი) და ლევან ღვამიჩავა (ფოთი); ***63,5 კგ:*** 1. პაატა ვარდუაშვილი (ვარიანი), 2. კობა ქარქაშაძე (ფოთი), 3. ალიკა საათაშვილი (ვარიანი) და ლაშა გვენცაძე (თბილისი); ***67 კგ:*** 1. მალხაზ ბერკაცაშვილი (ვარიანი); 2. გიორგი გურაბანიძე (თბილისი), 3. ლაშა ადამია და დავით ღვამიჩავა (ორივე - ფოთი); ***71 კგ:*** 1. ანატოლი ქავთარაძე (ჭიათურა); 2. ავთანდილ ხურციძე (ქუთაისი), 3. იოსებ დათუნაშვილი (თბილისი) და კარენ არუთინიანი (ახალციხე); ***75 კგ:*** 1. დავით წიკლაური (თბილისი), 2. გიორგი ადუაშვილი (ვარიანი), 3. გია ჭელიძე (ქუთაისი) და ლაშა ალდემაშვილი (თბილისი); ***81 კგ:*** 1. მინდია ნოზაძე (ვარიანი), 2. ზურაბ უჩანეიშვილი, 3. ზურაბ ხუტუაშვილი (ორივე - ფოთი) და გიორგი ხაჭაპურიძე (კახეთი). ***91 კგ:*** 1. ბექა ლობჟანიძე (გორი), 2. დავით გეგეშიძე, 3. დავით ზედგენიძე (ორივე — თბილისი) და ვახტანგ ჭეიშვილი (ქუთაისი). ***+ 91 კგ:*** 1. გაგა ბოლქვაძე (ქუთაისი), 2. ვლადიმერ ჭანტურია (ფოთი), 3. კობა ნაჭყებია (ვარიანი) და დავით შველიძე (თბილისი).

სპორტი ყველასათვის

# პენსიონერთა და ვეტერანთა...

თბილისის პენსიონერთა და ვეტერანთა პროფკავშირმა (თავმჯდომარე ა. კოპლატაძე) თავისი წევრი კონტიგენტის ყოფის გახალისების მიზნით, ამ ადამიანებისთვის ხელმისაწვდომ სპორტის სახეობებში ჩაატარა შეჯიბრებები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ორგანიზატორებს ხელი გაუმართა და ბაზა უსასყიდლოდ დაუთმო სააქციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერეს" ხელმძღვანელობამ. წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

*ჭადრაკი:* 1. ჟორეს წერეთელი (ვაკე-საბურთალოს რაიონი), 2. ილო მუზაშვილი (ისან-სამგორი), 3. კიმი თაბუკაშვილი და შოთა იმედაძე (ორივე - გლდანი — ნაძალადევის რაიონი);

*შაში:* 1. მერაბ გელაშვილი (გლდანი — ნაძალადევი), 2. გიორგი ჭიკაძე (ისან-სამგორი), 3. ავთანდილ ხიდაშელი (დიდუბე — ჩუღურეთი) და ამირან გაფრინდაშვილი (გლდანი — ნაძალადევი). *ნარდი:* 1. ბონდო მაისურაძე, 2. მერაბ ბერიძე, 3. ბორის კაპანაძე (სამივე — გლდანი-ნაძალადევი) და ედგარ ოსიტაშვილი (ისან-სამგორი).

...ადრი ცირეკიძე



# მზია ჯულელიდან — უსასრულობისაკენ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთაშორისო სპორტული ფედერაციები საბჭოთა სპორტული მონსტრის ფარული წნეხისგან განთავისუფლდნენ. ადრე ევრაზიის სივრცეში, საბჭოთა კავშირის სპორტული ფედერაციების დაუკითხავად, ვერც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ დაგეგმავდა რაიმე ასპარეზობას, თუნდაც ფედერაციათა თავყრილობას ან სხვა ღონისძიებას. კომუნისტური მმართველობის ქვეყანაში ფედერაციები ფორმალურად არსებობდნენ, ფაქტობრივად, ისინი ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციების შემადგენლობაში შედიოდნენ, რომლებიც თავის მხრივ სახელმწიფო სტრუქტურას წარმოადგენდნენ და, ბუნებრივია, პოლიტიკა ამ სფეროშიც ხელისუფლებისგან იმართებოდა. რაკი დამოუკიდებელ ქვეყნად იქცნენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, საერთაშორისო სპორტულმა ფედერაციებმაც შვება იგრძნეს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ევრაზიაში, გასაგები მიზეზების გამო, ვერავინ იკისრებდა ცენტრის ფუნქციას – მოშლილი ეკონომიკა, სოციალური პრობლემები და დაუღვინებელი პოლიტიკური გარემო არ იძლეოდა ამის საშუალებას. ამიტომ არჩევანი შეჩერდა თურქეთზე – ქვეყანაზე, რომელიც იოლი დასამხრობი იყო, როგორც პოსტსოციალისტური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, ისე



*თურქეთის მშენებლობისა და ბანკების მინისტრი რეფაიდ შახინი (ლორთქიფანიძე), მზია ჯულელი და თენგიზ ბოლქვაძე ანკარაში, მინისტრის სამუშაო კაბინეტში.*

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის. ბუნებრივია, ყველაზე ხელსაყრელი და არა მხოლოდ ტერიტორიული სიახლოვის თვალსაზრისით, საქართველოსთვის სწორედ თურქეთი იყო. თურქეთის ქალაქები, განსაკუთრებით შესანიშნავი ზღვისპირა კურორტი ანტალია, არაერთი მაღალი რანგის საერთაშორისო ასპარეზობის თვალსაჩინო ცენტრად იქცა. აქ მეტად ხელსაყრელი პირობებია წინასატურნირო სასწავლო-საწვრთნო შეკრებების და საერთაშორისო სპორტული კონგრესების თუ სიმპოზიუმების ჩასატარებლადაც.

ტანვარჯიშის მსოფლიო კონგრესი, მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, პირველად სწორედ ანტალიაში ჩატარდა. საქართველოდან კონგრესზე მზია ჯულელი და აჭარის ს.. ორტკომიტეტის თავმჯდომარე ..ნგიზ ბოლქვაძე მიიწვიეს. ახალი დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევაც იდგა დღის წესრიგში. ჩვენი დელეგატები, ბუნებრივია, ინტერესით მოელოდნენ ამ საკითხის განხილვას, მაგრამ გაოცებულები დარჩნენ ვითარების უეცარი შეცვლით. რატომღაც ეს თემა მსჯელობის საგნად არ იქცა კონგრესზე. როგორც ქალბატონი მზია იხსენებს, კონგრესის მონაწილეთა შორის ერთიანი აზრი ვერ ჩამოყალიბდა. საერთაშორისო ფედერაციამ კი უხერხულობაში არ ჩაიგდო თავი: ცხადია, გაჭირვებულ ქვეყნებს შორის საქართველოც იყო და, სამწუხაროდ, ასე რჩება დღემდე, საერთაშორისო ფედერაცია, კი ტრადიციულად მხოლოდ დახმარების დაპირებებით შემოიფარგლება. ანტალიაში იმ კონგრესის მონაწილეებს ზღაპრული გარემო შეუქმნეს, თურქებს სჩვევიათ ზედმიწევნით თავის მოწონება, რაც ამჯერადაც ჩინებულად გამოუვიდათ. თვით კონგრესს რაც შეეხება, იგი ერთ რიგით ღონისძიებად დარჩა მსოფლიო ტანვარჯიშის ისტორიაში და ახალი წევრების გაცნობა მხოლოდ ხელის ჩამორთმევით დასრულდა.

თურქეთი – ეს უახლოესი ისტორიული მეზობელი, რა დასამალია, „ხელახლა აღმოაჩინა" საქართველომ. მას შემდეგ, რაც პირდაპირი საზღვრები გაიხსნა და ურთიერთობაც აღსდგა, ხალხმა ის ნათესავებიც მოძებნა, განგებამ რომ თურქეთში გადახვეწა, აღარაფერს ვამბობთ მთელ ტერიტორიებზე, სადაც ისტორიულად დასახლებულია ქართველები და უამრავი ქრისტიანული კულტურის ძეგლებია თავმოყრილი.

ზემოხსენებულ კონგრესზე საქართველოდან ჩასულ სტუმრებს პირადი მა.. ინძელიც ჰყავდათ – თურქეთის მშენებლობისა და ბანკების მინისტრი რეფაიდ შახინი, ძირით ქართველი – ლორთქიფანიძე, რომელსაც ბოლქვაძე ჰყოლია დედა – თენგიზ ბოლქვაძის მამიდა. მზია ჯულელს და თენგიზ ბოლქვაძეს რეფაიდ შახინი აეროპორტში დაუხვდა. ანკარა პირადად შემოატარა საქართველოდან წვეულებს მინისტრმა. ცხადია, დაათვალიერეს სპორტული ბაზებიც და აქაც ნაცნობი თხოვნა – თურქებს დახმარებოდნენ ქართველები ქვეყანაში სპორტის დონის ამაღლებაში. საგულისხმო პარადოქსია – არის ქვეყნები, უხვი, კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით და დაოსტატების იდეალური პირობებით, მაგრამ განიცდიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს, ჩვენთან... პირიქით!

სუვერენულ საქართველოსა და თურქეთს შორის სპორტული ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდება. ქართული ლეგიონერებით გაჯერდა თურქეთის სპორტი, სამუშაოდ იწვევენ სპეციალისტებსაც. სამწუხაროა, რომ ქართული სპორტიც მომხმარებელ სფეროდ იქცა უცხო ქვეყნებისთვის.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწყისი იხილეთ „ლელო" №40 (2001)... 30 (2002).*

*..გრძელება იქნება*

# «ბორჯღალოსნებმა» მზადების გეგმა შეადგინეს

როგორც იცით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს მსოფლიოს თასის 2003 წლის გათამაშების შესარჩევ ეტაპზე ძნელი მატჩები ელის ირლანდიისა და რუსეთის ნაკრებებთან (შეხვედრები 28 სექტემბერს დუბლინში და 5 ოქტომბერს — თბილისში გაიმართება).

შედგენილია გეგმა, რომლის მიხედვითაც ქართველი მორაგბეები ზემოხსენებულთა გუნდებთან საპასუხისმგებლო შეხვედრებისათვის მოემზადებიან. როგორც შევიტყვეთ, მზადების ეტაპი ორი ნაწილისაგან შედგება, პირველი ნაწილის მიხედვით „ბორჯღალოსნები" მთიანეთში გაივლიან შეკრებას ფიზიკური კონდიციების ამაღლებლად.

შემდეგ დაგეგმილია ამხანაგური მატჩები ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორებიცაა იტალიისა და რუმინეთის ნაკრებები. არ არის გამორიცხული საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მონაწილეობა საფრანგეთის ოთხთა ტურნირში, თუმცა ეს იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ შეჯიბრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხი დადებითად გადაიჭრება.

რაც შეეხება ქართველების უშუალო მეტოქეს — რუსეთის ნაკრებს, ამ უკანასკნელს უკვე 4 მაისს ელის მატჩი ჩეხეთის ნაკრებთან. საქმე ისაა, რომ „დათვებმა" ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებებთან ერთად შესარჩევ ჯგუფში თამაშის უფლება ოფიციალურად რომ გაიფორმოს, ჩეხეთისა და ჰოლანდიის გუნდებს უნდა მოუგოს.

ჩეხეთი — რუსეთის შეხვედრა პრაღაში შედგება. „დათვები" მატჩისწინა შეკრებას მწვრთნელ ალექსანდრე პერვუხინის თაჯაცობით საფრანგეთში შემდეგი შემადგენლობით გადიან: იგორ დიმჩენკო, ვლადიმერ სიმონოვი, ანდრეი ჩუპინი, ალექსეი კორობეინიკოვი, ვიტალი ილარიონოვი, ვიტალი ზუერი, ოლეგ ქუკოვი, ანდრეი კუზინი, ვიქტორ მოტორინი, იგორ ბუდნიკოვი, რაშიდ ბიკბოვი, იგორ ნიკოლაიჩუკი, რაშიდ საგდეევი, ვალერი ფედჩენკო, ოლეგ შუკაილოვი, ვიაჩესლავ ზიკოვი, რომან რომაკი, რომან შელეპკოვი, დმიტრი დიატლვი, ალექსეი ტრავკინი, ვლადიმირ მარჩენკო, ალექსანდრე ხროკინი. საფრანგეთის მორაგბეთა ჩემპიონატის დასრულებისთანავე, მათ შეუერთდებიან ლეგიონერები — სერგეი სერგეევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი და კონსტანტინ ჩაჩკოვი, თუმცა ეს სამი მორაგბე რუსეთის ნაკრებს ჩეხებთან შეხვედრაში ვერ დაეხმარებიან. პერვუხინი ფიქრობს, რომ ჩეხებს ლეგიონერების გარეშეც დაამარცხებს.

ჩეხეთის ნაკრები კი ასეთი შემადგენლობით ემზადება:



შუსტერი („პრაღა"), ოსვალდი („ტატრა"), მარტინეკი („ტატრა"), შჩიასტნი („ბიარიცი"), ზახარიაში („სპარტა"), ქილა („ტატრა"), კურკა („ლიბონი"), ნემეჩეკი („რიჩანი"), კ. პეკაჩეკი („ვალენსია"), მ. პეკაჩეკი („ოსერი"), კონდრაშჩუკი („მარლოუ), მახაჩეკი („მონფერანი"), ბლახა („რიჩანი"), სიროვი („პრაღა"), რიპჩიკი („სპარტა"), კაფკა („მადრიდი"), კუდრნა („პრაღა"), იაგრი („ტულონი"), ზაკი („პრაღა"), ბრაბეკი („ტატრა"), ბეკარეკი („რიჩანი"), ვილკი („ბრნო"), რიგლი („ტატრა"), როხლიკი („ტელინი").

ჩეხებმა ახლახან ამხანაგური შეხვედრა გამართეს ხორვატიის ნაკრებთან და მეტოქე ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხეს — 95:5.

**თენგიზ ჩოგანიძე**

## სამოციანელები

# საქმისადმი უხმაურო ერთგულებაც ასეთი უნდა

გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ქართული სპორტის არნახული აღმავლობა, რამაც არა მხოლოდ მაღალ სპორტულ მიღწევებში იჩინა თავი. სწორედ იმ პერიოდში მომზადებული კადრების დამსახურებაა, რომ ჩვენს სპორტში მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების მწყობრი სისტემა ჩამოყალიბდა და საფუძვლიანად განმტკიცდა. მაგრამ ეს მხოლოდ უმაღლესი მიღწ..ების სპორტზე არ ითქმის, ქვეყნის მოსახლეობა, ასაკისა და ინტერესების შესაბამისად, მასობრივი სპორტის, ანუ როგორც დღეს ამბობენ, „სპორტი — ყველასათვის!" ორბიტაში მოექცა. 60-იან წლებში ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტდამთავრებულებს პროფილით დასაქმების პრობლემა არ ჰქონიათ — დიდი იყო მოთხოვნა ახალგაზრდა კადრებზე სასკოლო, საშუალო თუ უმაღლესი განათლების სასწავლებლებში, შრომით კოლექტივებში, სოფლად, მოკლედ, ყველგან...

1962 წელს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაახლოებით 120-მა ახალგაზრდამ დაამთავრა. ყველა მათგანი იმავე წლის შემოდგომიდან ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ფერხულში ჩაერთო. ზოგმა მერე მეორე სპეციალობაც მიიღო, მაგრამ, სპორტისადმი და პირველი პროფესიისადმი სიყვარული ბოლომდე გაჰყვა თითოეულს. ასეთი ფონი იმისთვის დამჭირდა, რომ იმ პლეადის ერთი ღირსეული პიროვნება წარვუდგინო მკითხველს. დღეს ჰოროსკოპებით გატაცება ჩვეულებრივ ამბად იქცა. თენგიზ ხუციშვილის ჰოროსკოპი საოცრად ემთხვევა, როგორც მის ხასიათს, ისე საქმიანობას — თავმდაბალი, ადამიანების მოსიყვარულე, ერთგული, უპრეტენზიო და საქმეში მიზანმიმართული, სჯერდება იმას, რაც აქვს, მაგრამ მუდამ სიახლის მაძიებელია, ასეთებისთვის უცხოა კარიერიზმი და ა.შ.

1962 წელს ფიზკულტურის ინსტიტუტი რომ დაამთავრა, თენგიზ ხუციშვილი თეთრიწყაროს რაიონის სკოლა-ინტერნატში გაგზავნეს სამუშაოდ. იქვე პირველი სპორტსკოლაც მისი თაოსნობით გაიხსნა, მერე რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. ასე გაილია 12 წელიწადი. ახლა იქ მარტო აღარ იყო, გამოჩნდნენ სხვა ახალგაზრდა სპეციალისტები. თავად ისევ თბილისში დაბრუნდა — მუშაობა დაიწყო თბილისის 58-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის უფროს მასწავლებლად. 70-იან წლებში ფიზაღზრდის მასწავლებელთა წასახალისებლად საქალაქო კონკურსები ტარდებოდა რჩეულთა გამოსავლენ..ნ. თენგიზი ორჯერ მოხვდა საუკეთესოთა ათეულში, ერთხელ მეორე ნომრად, რაც დიდი პატივი და აღიარება იყო. სწორედ მაშინ, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დაინიშნა ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგედ. მაშინვე კათედრის პედკოლექტივის გადახალისება გადაწყვიტა. გაიკითხ-გამოიკითხა და ერთ-ერთ კანდიდატურად თენგიზ ხუციშვილი წარუდგინეს. უმალვე წაიყვანა თავისთან, აქაც მალე დააწინაურეს უფროს მასწავლებლად და 1981 წლიდან მოყოლებული ჩვეული ერთგულებით ართმევს თავს მოვალეობას.

ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ფეხბურთს თამაშობდა ამ სასწავლებლის გუნდში. სკოლაში ფრენბურთის სექცია ჩამოაყალიბა. გავიდა დრო. მის აღსაზრდელებზე ალაპარაკდნენ, რაიონის ნაკრები გუნდიც მას ჩააბარეს. ფრენბურთის სიყვარული გაიყოლა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშიც. იქაური ქალთა და ვაჟთა გუნდები მეტოქეთა ანგარიშგასაწევ ძალად რომ იქცა, უპირველესად ეს სწორედ მწვრთნელის დამსახურება იყო. დღეს უკვე აგრარულ უნივერსიტეტად წოდებული ეს უმაღლესი სასწავლებელი სამართლიანად ამაყობს ფრენბურთელთა ტრდიციებით. მრავალგზის მოუპოვებიათ სტუდენტ-ფრენბურთელებს წარმატება საქართველოს თუ საკავშირო შეჯიბრებებში. ტრადიცია გრძელდება. 2000 წელს იზეიმეს გასული საუკუნის ბოლო წარმატება — ქალთა გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა.

28 აპრილს თენგიზ ხუციშვილს დაბადებიდან 65 წელი უსრულდება. თავდადებულ შრომაში გასრულებული ათეული წლები ალამაზებს მის ბიოგრაფიას, მაგრამ წინ ჯერ კიდევ ახალი ათწლეულებია გასავლელი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## მილოცვა

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტის 1962 წლის კურსდამთავრებულები დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავენ თანაკურსელს, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის უფროს მ..წავლებელს **თენგიზ ხუციშვილს.**

## დაჯილდოება

მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი პირადი წვლილის, სპორტის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და დაბადებიდან 65 წლისთავთან დაკავშირებით თეთრიწყაროს რაიონის სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი **თენგიზ ხუციშვილი** საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით დაჯილდოვდა.



საქართველოს 2000 წლის ჩემპიონი – ..რარული უნივერსიტეტის ქალ ფრენბურთელთა გუნდი მწვრთნელ თ..ნგიზ ხუციშვილთან ერთად



# ანონსი. უმაღლესი ლიგა, V ტური
# სუპერმატჩის მოლოდინში

22 მაისამდე, გაზაფხულის ამ ბოლოსწინა ოთხშაბათამდე, ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი რამ გაირკვევა, მაგრამ ხვალინდელ მატჩს, უფრო სწორად, „დინამოსა“ და „ტორპედოს“ დაპირისპირებას, თუნდაც ქვეყნის მასშტაბით, ყავლი არასოდეს გაუვა. არწაგების შემთხვევაში ქუთაისელები, დაუფარავად შეიძლება ითქვას, ჩემპიონები ხდებიან, თბილისელებს კი, ერთადერთ ნუგეშად სათასო ფინალი (თუ „ლოკომოტივს“ აჯობებენ) და ვერცხლის მედლები დარჩებათ. მაგრამ ნუ ვიმარჩიელებთ, მატჩი მართლაც განსაკუთრებულია. სხვებისა რა ვთქვათ, „დინამოსა“ და „ტორპედოს“ პოტენციურ მეტოქედ ხომ მხოლოდ „ლოკომოტივი“ მოიაზრება, რომელსაც ბათუმში იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის. ჯანაშიას ყოფნით რკინიგზელებს დიდი ძალა შეემატათ, მაგრამ არც ზღვისპირელებს სურთ მხოლოდ სტატისტის როლში ყოფნა და ეს მატჩიც გარკვეულ ინტერესს გამოიწვევს. „კოლხეთი“ და „მერანი“ კი, ერთმანეთში საერთო ენას თუ ვერ გამონახავენ, ამით სატურნირო ვითარება ბევრით არაფრით შეიცვლება.

*27 აპრილი, I-VI ადგილები*

დინამო (თბ) — ტორპედო (მატჩი დაიწყება 18 საათზე)
კოლხეთი 1913 — მერანი
დინამო (ბთ) — ლოკომოტივი

**I-VI ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 4 | 4 | 0 | 0 | 7-3 | 38 |
| **დინამო (თბ)** | 4 | 4 | 0 | 0 | 5-0 | 31 |
| **ლოკომოტ.** | 4 | 2 | 0 | 2 | 7-4 | 31 |
| **დინამო (ბთ)** | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 22 |
| **კოლხ.1913** | 4 | 1 | 0 | 3 | 5-7 | 21 |
| **მერანი** | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 17 |

ქვედა ექვსეულში სამივე მატჩი საინტერესოა, თუ რატომ, გულშემატკივარი ადვილად მიხვდება. ერთმანეთს უშუალო კონკურენტები ხვდებიან.

*27 აპრილი, VII-XII ადგილები*

სამგურალი — მეტალურგი
გურია — გორდა
ვიტ ჯორჯია — სიონი.

**VII-XII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვიტ ჯორჯია** | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 24 |
| **სიონი** | 4 | 3 | 0 | 1 | 11-3 | 22 |
| **მეტალურგი** | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 16 |
| **გორდა** | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 14 |
| **სამგურალი** | 4 | 2 | 0 | 2 | 4-2 | 13 |
| **გურია** | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 8 |



# საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

*ბომბარდირები*

პოროშინი (ტორპედო) — 15
დავითაშვილი (ლოკომოტივი) — 13.

## პირველი ლიგა, V ტური

*28 აპრილი, I-VI ადგილები*

თსუ — ლოკომოტივი
ცხინვალი — დილა
ქობულეთი — მილანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 4 | 4 | 0 | 0 | 8-0 | 35 |
| **დილა** | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 34 |
| **ქობულეთი** | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 30 |
| **თსუ** | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 26 |
| **ლოკომ3** | 4 | 1 | 0 | 3 | 7-6 | 23 |
| **ცხინვალი** | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 18 |

*VII — XII ადგილები*

კოლხეთი (ხ) — ლაზიკა
მერანი2 — დინამო2 (თბ)
ლოკომოტივი (სამტრედია) — ისვენებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინ.2 (თბ)** | 3 | 2 | 1 | 0 | 8-3 | 21 |
| **ლაზიკა** | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 20 |
| **კოლხეთი (ხ)** | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 14 |
| **ლოკ.(სამტ)** | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 13 |
| **მერანი2** | 3 | 1 | 0 | 2 | 4-9 | 11 |

# რეგიონული ლიგა

## აღმოსავლეთის ზონა

*XXVIII ტური*

აკადემია — ზოოვეტი 1-1
ჰაბუკიანი — ლიახვი 3-0
ცხუმი — მცხეთა 0-0
ალაზანი — ვიტ ჯორჯია2 3-2
გორდა — ოლიმპიკი 0-4
მესხეთი — ივერია 0-1
ჯავახი — დინამო3 0-3
კრწანისი — მაუდი 2-2
მრეტები — მერანი3 0-1
თბილისი — ისვენებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 27 | 20 | 5 | 2 | 63-13 | 65 |
| ივერია | 27 | 19 | 2 | 6 | 74-35 | 59 |
| ალაზანი | 26 | 18 | 2 | 6 | 61-26 | 56 |
| მაუდი | 27 | 17 | 5 | 5 | 50-22 | 56 |
| ოლიმპიკი | 27 | 15 | 6 | 6 | 57-27 | 51 |
| ზოოვეტი | 27 | 15 | 2 | 10 | 54-34 | 47 |
| ვიტ ჯორჯია2 | 27 | 13 | 8 | 6 | 59-28 | 47 |
| ცხუმი | 26 | 13 | 7 | 6 | 52-23 | 46 |
| ჰაბუკიანი | 26 | 12 | 9 | 5 | 42-21 | 45 |
| მესხეთი | 26 | 12 | 3 | 11 | 36-37 | 39 |
| აკადემია | 26 | 10 | 8 | 8 | 40-38 | 38 |
| დინამო3 | 27 | 10 | 6 | 11 | 43-36 | 36 |
| ლიახვი | 27 | 11 | 1 | 15 | 37-53 | 34 |
| გორდა2 | 26 | 7 | 7 | 12 | 35-40 | 28 |
| კრწანისი | 26 | 5 | 4 | 17 | 31-60 | 19 |
| თბილისი | 26 | 4 | 6 | 16 | 33-77 | 18 |
| მერანი3 | 27 | 4 | 4 | 19 | 18-71 | 16 |
| მრეტები | 27 | 1 | 6 | 20 | 23-55 | 9 |
| ჯავახი | 26 | 0 | 1 | 25 | 17-117 | 1 |

## დასავლეთის ზონა

*გადადებული მატჩი*

გურია2 — მაღაროელი 1-0

*XXVII ტური*

გზები — საპოვნელა 0-3
ეგრისი — მაღაროელი 1-2
ოკრიბა — ლუკა 2-1
დინამო (ზ) — სალხინო 6-1
გურია2 — საირმე 3-4
სულორი — სქური 2-0
სამეგრელო — კოლხეთი2 0-4
დინამო (სოხ.) — ინტერი 1-1
მერცხალი — დინამო2 (ბთ) 2-0
მეტალურგი2 — ჩიხურა (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 27 | 23 | 0 | 4 | 70-25 | 69 |
| მერცხალი | 27 | 21 | 4 | 2 | 60-16 | 67 |
| დინამო (ზ) | 27 | 20 | 3 | 4 | 66-28 | 63 |
| საპოვნელა | 27 | 19 | 5 | 3 | 80-27 | 62 |
| მაღაროელი | 27 | 18 | 1 | 8 | 61-35 | 55 |
| გურია2 | 27 | 14 | 4 | 9 | 61-32 | 46 |
| კოლხეთი2 | 27 | 11 | 8 | 8 | 36-32 | 41 |
| სალხინო | 27 | 12 | 1 | [illegible] | 38-45 | 37 |
| ინტერი | 27 | 11 | 4 | 12 | 38-42 | 37 |
| სქური | 27 | [illegible] | 7 | 10 | 38-46 | 37 |
| გზები | 27 | 10 | 3 | 14 | 32-40 | 33 |
| საირმე | 27 | 10 | 3 | 14 | 29-39 | 33 |
| ეგრისი | 27 | 10 | 2 | 15 | 47-51 | 32 |
| დინამო2 (ბთ) | 27 | 9 | 3 | 15 | 27-50 | 30 |
| ჩიხურა | 26 | 8 | 2 | 16 | 26-58 | 26 |
| ლუკა | 27 | 7 | 5 | 15 | 33-61 | 26 |
| მეტალურგი2 | 26 | 7 | 3 | 16 | 34-52 | 24 |
| ოკრიბა | 27 | 7 | 1 | 19 | 28-63 | 22 |
| სამეგრელო | 27 | 5 | 2 | 20 | 31-72 | 17 |
| დინამო (სოხ) | 27 | 3 | 8 | 16 | 26-56 | 17 |

### *პირველი მატჩები*

***თბილისი. 23 აპრილი. „ლოკომოტივის“ სტადიონი***

ლოკომოტივი (თბილისი) — დინამო (თბილისი) 1-0

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, ონიანი, რუსია (მორჩილაძე 85), ჰიჰვეიშვილი, ზ. ლაცაბიძე, გოგიჩაიშვილი, დავითაშვილი (კაიდარაშვილი 63), ზ. ჯანაშია (დათვაძე 85).

დინამო: ზოიძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე (მაზიაშვილი 76), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, მანწკავა, ანჩაბაძე, გ. მიქაძე (ბობოხიძე 60).

გოლი: 1-0 რუსია (73).

გააფრთხილეს: მიქაძე, ჯანაშია, ამისულაშვილი.

მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი).

***ქუთაისი. 23 აპრილი. „ტორპედოს“ სტადიონი.***

ტორპედო (ქუთაისი) — ვიტ ჯორჯია (თბილისი) 1-0

ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, ხვადაგიანი, თოდუა, აბრამიძე, ქემოკლიძე, დიდავა, პოროშინი, ქუთათელაძე (ახალკაცი 62), გ. კვარაცხელია, შ. ბაბუნაშვილი (ასათიანი).

ვიტ ჯორჯია: ჰურაძე, ლ. ნოზაძე, თ. კობიაშვილი, ინწკირველი (ფეიქრიშვილი 36), ჯ. მუჯირი, თედორაძე, დილმელაშვილი, გველესიანი (ცვახაძე 72), ადამია, მელქაძე (წუწუნავა 77), გოჩაშვილი.

გოლი: 1-0 ქუთათელაძე (45).

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი).




## 1-0 არამყარი ანგარიშია

ორივე მატჩი სათასო სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი. თბილისშიც და ქუთაისშიც ერთმანეთს ღირსეული მეტოქეები დაუპირისპირდნენ. ანგარიშებიც ისეთი დაფიქსირდა, უეჭველია, საპასუხო შეხვედრებს არც ინტერესი, არც გულშემატკივარი არ მოაკლდება. ქუთაისელებისა და თბილისელი რკინიგზელების მინიმალური უპირატესობა ფინალში გასვლის გარანტიას ჯერ არ იძლევა, ფაქტია, „დინამო“ და „ვიტ ჯორჯიაც“ თავისას ეცდებიან. ერთბურთიანი დეფიციტის დაძლევა, მით უმეტეს, 0-1-ისა, იოლი არ არის, მაგრამ... ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება, 4 მაისის საპასუხო მატჩები მაყურებელს იმედს არ გაუცრუებს. მანამდე ოთხივე კლუბი ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ წრეს ჩაამთავრებს და საფეხბურთო სეზონიც ფინიშს მიუახლოვდება. ასე რომ, მაისში „წიწილების“ დათვლის დრო დადგება.

## ჭაბუკთა გერმანული საგამოცდო




გერმანული საწვრთნელი შეკრებიდან დანიას ეწვია კობა ქორქიკაშვილის 17 წლამდელთა ნაკრები და ზეგ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველ მატჩს გამართავს გერმანელ თანატოლებთან. შეგახსენებთ, D ჯგუფში ქართველი ჭაბუკები გერმანიის ნაკრების გარდა, თანმიმდევრულად შეხვდებიან: 30 აპრილს — პოლონეთისა და 2 მაისს — უნგრეთის ნაკრებს. ჯგუფიდან მეოთხედფინალში ორი საუკეთესო ნაკრები გავა. ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი კი 10 მაისს გაიმართება.

## იუჰანსონი ისევ პრეზიდენტია



უეფას ძველი, ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ევროპულმა საფეხბურთო სამყარომ თავი არ აიტკივა და ძალაუფლება ნაცად და გამოცდილ ლენარტ იუჰანსონს კიდევ ოთხი წლით შეუნარჩუნა. უეფამ ორი ვიცე-პრეზიდენტი და აღმასკომის ხუთი წევრიც აირჩია.

## უეფამ ჩივაძე დააჯილდოვა



სტოკჰოლმში გამართულ უეფას კონგრესის მუშაობაში, რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებიც მონაწილეობდნენ და საკმაოდ აქტიურადაც. პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პროგრამა „გოლის“ ხელმძღვანელებს საანგარიშო მოხსენება წარუდგინეს. ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს კი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის უეფას საპატიო ჯილდო გადაეცა.




## მსოფლიო ჩემპიონატის ბილეთების გაყიდვა 1 მაისს დაიწყება

სამხრეთ კორეაში მსოფლიო ჩემპიონატის სულ ცოტა 400 ათასი ბილეთი დარჩა გაუყიდავი, იაპონიაში — 100 ათასი. მათი გავრცელება 1 მაისიდან დაიწყება, როგორც სტადიონებზე და მთელ მსოფლიოში ამისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილებში, ისე ინტერნეტით, რომლის მისამართია WWW. FIFAticket1. Com.

ფიფას წარმომადგენელი ჯიმი ბაირო დარწმუნებულია, რომ ინტერნეტით ბილეთების გაყიდვა ძალიან აქტიურად წარიმართება, მან აღნიშნა ასევე ისიც, რომ უკვე გაყიდული ბილეთების საერთო რაოდენობა ბევრად აღემატება 1998 წლის ამ პერიოდის მაჩვენებლებს.

## ჩემპიონატი აშფოთებს ინგლისელებს

*ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისს 400 მილიონ, შესაძლოა 3,2 მილიარდ ფუნტი სტერლინგის ზარალს მოუტანს.*

ასეთ შემაშფოთებელ დასკვნამდე მივიდა ბრიტანეთის საქმიანი სამყარო, რომლის შესახებ ინფორმაცია ქვეყნის პრესაში გამოქვეყნდა გუშინ. ყველაზე მომაკვდინებელი ინგლისის ეკონომიკისა და ბიზნესმენებისთვის თურმე ის იქნება, თუ ამ ქვეყნის ნაკრები ფინალში გავა. ამ შემთხვევაში, ნავარაუდევი ზარალი — 400 მილიონი ფუნტი სტერლინგი 3,2 მილიარდამდე გაიზრდება. ნამდვილი კოლაფსი მოსალოდნელია 7 ივნისს, როცა ინგლისის ნაკრები ჯგუფში მთავარ კონკურენტს — არგენტინის ნაკრებს ეთამაშება. 1998 წელს ამ ორი ნაკრების ტელეტრანსლაცია ნახა 20-მა მილიონმა ბრიტანელმა, მაგრამ მაშინ მატჩი საღამოს საათებში ჩატარდა. ახლა კი ადგილობრივი დროით 12.30 წუთზე დაიწყება ინგლის-არგენტინის შეხვედრა. არავინ ეჭვობს, რომ თამაშის სანახავად მამაკაცები მაინც, მასობრივად მიატოვებენ სამუშაოს. ასეთი კი, როგორც იუწყებიან, სულ მცირე 12,5 მილიონი ინგლისელი იქნება...

# საფეხბურთო ქარიშხალი „ქარიშხალას“ დარბაზში

## კონტროლის პალატის ფეხბურთელებმა ფლეი-ოფში თამაშის უფლებასთან ერთად თასიც მოიპოვეს

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში კიდევ ერთხელ მიიპყრო ყურადღება „ქარიშხალას“ სპორტდარბაზმა, სადაც მინიფეხბურთელთა საქართველოს VIII ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე წრის მატჩები გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. ამჯერად, ასპარეზობას უნდა დაესახელებინა ის ოთხი უძლიერესი, რომლებიც ბრძოლას გააგრძელებენ 2001-2002 წლების ჩემპიონის ტიტულისათვის. დაძაბული მატჩები ასე დამთავრდა: „მარდი“ (ბთ) — „ქორები“ (თბ) — 11-4; სპორტის აკადემია — ლოკომოტივი“ — 5-4; თსუ — უნივერსიტეტი „აჭარა“ — 6-3. ბოლოს ლიდერები — კონტროლის პალატისა და ბაღდათის „ბაასის“ გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს, პარალელურად გათამაშდა თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის თასი. მატჩი და თასი მოიგო კონტროლის პალატის გუნდმა (მწვრთნელი ზურაბ დვალი) — 1-0.

მაისის მეორე დეკადაში იმავე სპორტკომპლექსში ჩატარდება ფლეი-ოფის მატჩები. ერთმანეთს შეხვდებიან: კონტროლის პალატა — თსუ „მარდი“ — „ბაასი“.



თბილისის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის თასის მფლობელი კონტროლის პალატის გუნდი. *რობერტ ბაგოიანის ფოტო*

# ჩემპიონთა ლიგა

## პირველი ნახევარფინალური მატჩები

**23 აპრილი. ბარსელონა. „ნოუ კამპი“. 98 000 მაყურებელი.**

ბარსელონა — რეალი **0-2**

ბარსელონა: ბონანო, რაიციგერი (ჯეოვანი 59), დე ბური, აბელარდო (კრისტანვალი 73), მოტა (გაბრი 82), როშემბაკი, კოკუ, ლუის ენრიკე, სავიოლა, კლიუვერტი, ოვერმარსი.

რეალი: სეზარი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ელგერა, მაკელელე, სოლარი (ფლავიო კონსეისაო 89), გუტი (მაკმანამანი 80), ზიდანი, რაული.

გოლები: ზიდანი (55), მაკმანამანი (90).







ამ შეხვედრის წინ ორივე გუნდის წარმომადგენლებმა ასეთი განცხადებები გააკეთეს:

**ვისენტე დელ ბოსკე** („რეალის“ მთწვრთნელი): „ორივე გუნდი ამ შეხვედრას გადაღლილი ხვდება, რადგან სეზონი მეტად დაძაბული იყო, მაგრამ ჩვენ უფლება არ გვაქვს გავაწბილოთ მრავალრიცხოვანი მაყურებელი. მე ვამტკიცებ, რომ „რეალი“ ეს არ არის არა ცალკეული ვარსკვლავები, არამედ ეს არის გუნდი, სადაც თითოეულ ფეხბურთელს თავისი ფასი აქვს“.

**კარლოს რექსაჩი** („ბარსელონას“ მწვრთნელი): „არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს არის სეზონის მთავარი შეხვედრა. ჩვენ უნდა გავიდეთ მოედანზე ცივი გონებით, მაგრამ უნდა ვითამაშოთ აგრესიულად, თუმცა ეს აგრესია არ უნდა გადაიზარდოს ნერვულ ატმოსფეროში“.

**რობერტო კარლოსი** („რეალის“ მცველი): „ვიმედოვნებ, რომ ამ შეხვედრის დროს ვაჩვენებთ ყველაფერს თუ რისი გაკეთებაც შეგვიძლია. მართალია „ნოუ კამპზე“ გამარჯვება და მშვიდად დალოდება საპასუხო მატჩისა, დიდებული იქნებოდა, მაგრამ ასეთი შეხვედრების დროს არც ერთი გუნდი არ არის ფავორიტი“.

**კლოდ მაკელელე** („რეალის“ ნახევარმცველი): „არაფერს ნიშნავს ის, რომ „ბარსამ“ ესპანეთის ჩემპიონატის წინა ტურში წააგო „სელტასთან“, არც ის, რომ დღეს „ბარსა“ საკუთარ მოედანზე თამაშობს და ყველანაირად შეეცდება აუცილებლად მოიგოს მატჩი. „რეალი“ ყოველთვის ერთი მიზნით გამოდის მოედანზე, ეს მიზანია — გამარჯვება და ჩვენ შევეცდებით ამას მივაღწიოთ „ნოუ კამპზე“.

**ხავიერ სავიოლა** („ბარსელონას“ თავდამსხმელი): „მსურს სიამოვნება მივიღო ამ შეხვედრისგან. ხოლო რაც შეეხება რივალდოს, პუიოლისა და ხავის არყოფნას, ისინი არიან ძალიან საჭირო ფეხბურთელები ჩვენი გუნდისათვის, მაგრამ ჩვენ გვყავს მრავალი კვალიფიციური მოთამაშე, და ის, ვინც შეცვლის ამ ფეხბურთელებს, გააკეთებს ყველაფერს სათანადო დონეზე“.

**ფრანკ დე ბური** („ბარსელონას“ მცველი): „ჩვენთვის ეს შეხვედრა არის ყველაზე მთავარი ამ სეზონში. შემიძლია განვაცხადო, რომ ამ მატჩში ჩვენ ვართ ფავორიტები“.

ახლა კი თუ რა მოხდა მოედანზე. „რეალმა“ შეძლო ის გაეკეთებინა, რასაც 18 წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა, მან „ნოუ კამპზე“ მოიგო ეს გადამწყვეტი შეხვედრა და ცალი ფეხით უკვე გლაზგოშია. შეხვედრა დაიწყო მასპინძლების შეტევით. უკვე მე-8 წუთზე კლიუვერტი გადის პირისპირ, მაგრამ სეზარმა ფეხით შეძლო მისი დარტყმის მოგერიება, ხოლო მე-13 წუთზე ლუის ენრიკეს თავური დარტყმა მადრიდელთა კარის ძელს ხვდება. საპასუხო შეტევაზე უკვე რაული გადის, იგი ერთი ერთზე აღმოჩნდა მეკარესთან, მაგრამ ბონანოს მოტყუება ვერ მოახერხა. პირველი ნახევრის დანარჩენ დროს სახიფათო მომენტი არც ერთ კართან არ შექმნილა. მეტწილად მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლა მოედნის ცენტრში. მეორე ნახევრის 55-ე წუთზე „რეალმა“ განახორციელა სწრაფი კონტრშეტევა, რაულის ბრწყინვალე პასის შემდეგ ზიდანი ასევე პირისპირ გადის ბონანოსთან და ხსნის ანგარიშს. ორიოდე წუთის შემდეგ ლუის ენრიკე ვალდებული იყო ანგარიში გაეთანაბრებინა — ოვერმარსის ჩაწოდებულს ლუის ენრიკემ თავი დაუხვედრა, მაგრამ ბურთი სანტიმეტრებში ასცდა მადრიდელთა კარს. მე-60 წუთზე რობერტო კარლოსის ფლანგური გარღვევა, ჩაწოდება საჯარიმოში და გუტის დარტყმა მცირე მანძილით სცდება „ბარსას“ კარს. საპასუხო შეტევისას სავიოლა შეიჭრა მადრიდელთა საჯარიმოში, მაგრამ ახლო მანძილიდან მისი დარტყმული სეზარმა მოიგერია. შემდეგ „რეალმა“ შეძლო თამაშის ტემპის დ ადება და „ბარსას“ ქაოტურ შეტევებს შედეგი არ გამოუღია. შვედი მსაჯის ანდრეს ფრისკის მიერ დამატებულ დროში რაულის გადაცემის შემდეგ მაკმანამანი ზრდის ანგარიშს. საბოლოოდ - 2-0 და „რეალის“ ბრწყინვლე გამარჯვება.

# „იოცნებეთ, ბიჭებო!“

## ასე დაარიგა ტოპმიოლერმა თავისი შეგირდები და ბიჭებმაც ოცნება თითქმის რეალობად აქციეს

**24 აპრილი. მანჩესტერი. 66 534 მაყურებელი.**

მანჩესტერი — ბაიერი **2-2**

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი (ფ. ნევილი 18, ირვინი 88), სილვესტრი, ბლანი, ბრაუნი, ბატი, ვერონი, სქოულზი (კინი 82), სოლსკიაერი, ვან ნისტელროოი, გიგზი.

ბაიერი: ბუტი, პლასენტე, ქიუკოვიჩი, ნოვოტნი (სებესკენი 46), ლუსიო, შნაიდერი, ბალაკი, ზე რობერტო, რამელოვი, ბასთურქი (ვრანიეში 77), ბერბატოვი (ნოივილი 72).

გოლები: 1-0 სოლსკიაერი (29), 1-1 ბალაკი (62), 2-1 ვან ნისტელროოი (67 პენ), 2-2 ნოივილი (75).



გერმანელებმა აჩვენეს შესანიშნავი ფეხბურთი და ფრეს გამოკრეს ხელი მრისხანე მეტოქესთან პაექრობაში. პირველ ნახევარში მცირე უპირატესობას „მანჩესტერი“ ფლობდა, მაგრამ „ბაიერიც“ სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდა. პირველ ათ წუთში ორი კარგი მომენტი ვერ გამოიყენა ვან ნისტელროიმ. შეხვედრის მე-18 წუთზე მძიმე ტრავმა მიიღო გარი ნევილმა, ექიმების წინასწარი განცხადებით, ნევილს ფეხი აქვს მოტეხილი და ადვილი შესაძლებელია გამოტოვოს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი.



შეხვედრის 29-ე წუთზე გერმანელთა კარში გავიდა კურიოზული გოლი. ვან ნისტელროოის ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი სოლსკიაერს უნდოდა ერთი შეხებით გადაეგზავნა გიგზის მიმართულებით, მაგრამ ბურთი მოხვდა ქიუკოვიჩს შეიცვალა მიმართულება და აღმოჩნდა ბუტის კარის ბადეში. ხუთიოდე წუთის შემდეგ ბერბატოვს ჰქონდა ნაღდი მომენტი დაელაშქრა ბარტეზის კარი, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

მეორე ნახევარში მანჩესტერის ფეხბურთელებმა დათმეს უპირატესობა, ლევერკუზენის ფეხბურთელებმა პირველივე წუთებიდან დააწესეს კონტროლი ბურთზე, რითაც დიდ სათამაშო უპირატესობას მიაღწიეს. 62-ე წუთზე შნაიდერის ჩაწოდებული ბურთი ბალაკმა ლამაზი დარტყმით მოათავსა ბარტეზის კარში. გაშვებული გოლის შემდეგ ინგლისელები თითქოს გამოცოცხლდნენ და პირველივე შეტევა ლევერკუზენელთა კართან 11-მეტრიანით. დასრულდა — საჯარიმოში შეჭრილ ვან ნისტელროოის ფეხი გამოსდო ზე რობერტომ. თვითონ დაზარალებულმა წინ გაიყვანა ინგლისელები. მაგრამ მიუხედავად გაშვებული გოლისა, „ბაიერი“ კვლავ ფლობდა უპირატესობას, რომლის ლოგიკური დასასრული იყო 75-ე წუთზე გატანილი საპასუხო გოლი. ეს შეძლო შეცვლაზე შემოსულმა ნოივილიმ. დარჩენილ დროში ორივე გუნდს არ შეუქმნია სახიფათო მომენტი დ შეხვედრაც ასე, ფრედ 2-2 დასრულდა.

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

**(გადადებული მატჩები)**

ფულემი — ბოლტონი 3-0
ბლექბერნი — ნიუკასლი 2-2
იფსვიჩი — მიდლსბრო 1-0
არსენალი — ვესტ ჰემი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 35 | 23 | 9 | 3 | 72-33 | 78 |
| ლივერპული | 35 | 22 | 8 | 5 | 58-26 | 74 |
| მანჩესტერი | 35 | 23 | 4 | 8 | 86-44 | 73 |
| ნიუკასლი | 36 | 20 | 8 | 8 | 70-48 | 68 |
| ჩელსი | 36 | 16 | 13 | 7 | 63-35 | 61 |
| ლიდსი | 36 | 16 | 12 | 8 | 51-37 | 60 |
| ვესტ ჰემი | 36 | 14 | 8 | 14 | 45-53 | 50 |
| ტოტენჰემი | 36 | 13 | 8 | 15 | 47-51 | 47 |
| მიდლსბრო | 36 | 12 | 9 | 15 | 35-44 | 45 |
| ასტონვილა | 36 | 10 | 14 | 12 | 41-45 | 44 |
| ფულემი | 36 | 10 | 13 | 13 | 36-41 | 43 |
| ევერტონი | 36 | 11 | 10 | 15 | 41-51 | 43 |
| საუთჰემპტ. | 36 | 11 | 9 | 16 | 42-51 | 42 |
| ჩარლტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 36-47 | 42 |
| ბლექბერნი | 35 | 10 | 10 | 15 | 47-46 | 40 |
| ბოლტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 43-58 | 40 |
| სანდერლ. | 36 | 10 | 8 | 18 | 26-48 | 38 |
| იფსვიჩი | 36 | 9 | 9 | 18 | 41-58 | 36 |
| დერბი | 36 | 8 | 5 | 23 | 32-61 | 29 |
| ლესტერი | 36 | 4 | 12 | 20 | 28-63 | 24 |




## ჰოლანდია

**(გადადებუდი მატჩები)**

ჰერენვენი — გრონინგენი 2-0
პსვ — ტილბურგი 6-0
უტრეხტი — ალკმაარი 3-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 32 | 20 | 7 | 5 | 69-34 | 67 |
| პსვ | 32 | 19 | 7 | 6 | 72-30 | 64 |
| ფეიენოორ. | 31 | 18 | 6 | 7 | 65-26 | 60 |
| ჰერენვენი | 32 | 17 | 8 | 7 | 55-24 | 59 |
| ვიტესი | 32 | 15 | 12 | 5 | 39-29 | 57 |
| უტრეხტი | 32 | 14 | 8 | 10 | 60-49 | 50 |
| ბრედა | 32 | 14 | 8 | 10 | 52-51 | 50 |
| ვალვაიკი | 32 | 13 | 6 | 13 | 46-41 | 45 |
| ნაიმეგენი | 32 | 13 | 6 | 13 | 38-52 | 45 |
| ტილბურგი | 32 | 10 | 12 | 10 | 52-57 | 42 |
| ტვენტე | 32 | 9 | 11 | 12 | 39-41 | 38 |
| ალკმაარი | 32 | 10 | 7 | 15 | 37-45 | 37 |
| როდა | 32 | 10 | 7 | 15 | 32-45 | 37 |
| გრააფსხაპი | 31 | 9 | 6 | 16 | 40-51 | 33 |
| დენ ბოსხი | 32 | 8 | 9 | 15 | 40-52 | 33 |
| გრონინგენი | 32 | 9 | 6 | 17 | 38-59 | 33 |
| სპარტა | 32 | 4 | 11 | 17 | 26-72 | 23 |
| სიტარდი | 32 | 3 | 7 | 22 | 26-68 | 16 |

## შვეიცარია

**„ა“ ჯგუფი**

სტ. გალენი — სერვეტი 1-3
იანგ ბოისი — ბაზელი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 11 | 10 | 0 | 1 | 30-8 | 52 |
| ლუგანო | 10 | 6 | 2 | 2 | 16-10 | 39 |
| გრასჰოპერი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-11 | 37 |
| სერვეტი | 11 | 5 | 2 | 4 | 22-21 | 34 |
| იანგ ბოისი | 11 | 4 | 2 | 5 | 17-18 | 30 |
| სტ.გალენი | 11 | 2 | 3 | 6 | 11-16 | 27 |
| ციურიხი | 10 | 4 | 0 | 6 | 8-14 | 27 |
| სიონი | 10 | 0 | 0 | 10 | 5-29 | 17 |

## პოლონეთი

პოლონია — პოგონი 5-0
ოდრა — კატოვიცე 0-0
რუხი — ამიცა 2-1
ვისლა — ლეგია 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 12 | 7 | 5 | 0 | 18-9 | 40 |
| ვისლა | 12 | 6 | 3 | 3 | 20-14 | 35 |
| ამიცა | 12 | 6 | 3 | 3 | 17-10 | 33 |
| პოლონია | 12 | 5 | 3 | 4 | 16-15 | 31 |
| კატოვიცე | 12 | 4 | 4 | 4 | 10-14 | 25 |
| ოდრა | 12 | 2 | 3 | 7 | 11-18 | 25 |
| რუხი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-16 | 21 |
| პოგონი | 12 | 2 | 3 | 7 | 7-15 | 21 |

## საბერძნეთი

**(გადადებული მატჩი)**

პანათინაიკოსი — იონიკოსი 5-3

## ავსტრია

**(გადადებული მატჩი)**

აუსტრია — რაპიდი 1-1

# ლიბერტადორესის თასი




**1/8 ფინალი (I-ლი მატჩები)**

კორბელოა (ჩილე) — ოლიმპია (პარაგვაი) (ჩაიშალა)

ნასიონალი (ურუგვაი) — ამერიკა დე კალი (კოლუმბია) 1-0

სენსიანო (პერუ) — ამერიკა (მექსიკა) 0-1

ოლმედო (ეკვადორი) — მორელია (მექსიკა) 0-5

მონტევიდეო უონ. (ურუგვაი) — პენიაროლი (ურუგვაი) 2-2

რივერ პლეიტი (არგენტინა) — გრემიო (ბრაზილია) 1-2

# რუსეთის ფეხბურთელებს სტიმულს ნავთობკომპანიაც აძლევს



ტიუმენის ნავთობის კომპანიამ დააწესა სპეციალური პრიზი რუსეთის ნაკრების ფეხბურთელებისათვის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით. სანავთობო კომპანიამ პრიზად გამოჰყო 7 ავტომანქანა „Porsche-911“.

თითო მანქანა თითო თამაშზე. პრიზი გადაეცემა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელს იმ პირობით, თუ რუსეთის ნაკრები მოიგებს კონკრეტულ შეხვედრას.

„თუ ჩვენს ფეხბურთელებს დამატებითი სტიმული ესაჭიროებათ, ამაზე უკეთესს ვერც მოიფიქრებ“ — განაცხადა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალექსანდრე ტუკმანოვმა. თითოეული „Porsche-911.“ შეფასებულია 70000 დოლარად.

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

გვერდი მოამზადა ვეფხვია ჯალაღონიამ

# ნბა

## ფლეი-ოფის მატჩები


დეტროიტი - ტორონტო

**ნიუ-ჯერსი — ინდიანა 95:79**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (20+10 მოხსნა +9 გადაცემა), მარტინი (19), ვან ჰორნი (17), უილიამსი (15), ჰარისი (8), ჯონსონი (5), კიტლსი (4), ჯეფერსონი (3), კოლინზი (2).

**ინდიანა:** რ. მილერი (26), ჯ. ო,ნილი (12), ბ. მილერი (;0), ოლი (8), ფოსტერი (7), გროშერი (5), ბენდერი (4), არტესტი (4), მერკერი (2).

ბრწყინვალედ ითამაშა ჯეისონ კიდმა, რომელსაც ერთი გადაცემა დააკლდა ტრიპ-დაბლის შესასრულებლად. კიდს მხარი აუბეს მარტინმა და ვან ჰორნმა და ეს შეხვედრა ლოგიკური შედეგით დასრულდა. სერიაში ანგარიში გახდა 1:1.

**სან-ანტონიო — სიეტლი 90:98**

**სან-ანტონიო:** დანკანი (32+12 მოხსნა), სმიტი (16+6 მოხსნა), პარკერი (13), ბოუენი (11), როუზი (10), პორტერი (6).

**სიეტლი:** პეიტონი (21+11 მოხსნა), ლუისი (19), ბეიკერი (15+10 მოხსნა), მეისონი (15), ბერი (9), ლივინგსტონი (6), რადმანოვიჩი (5).

ეს შეხვედრა ტრავმის გამო „სან-ანტონიოს" ერთ-ერთმა ლიდერმა დეივიდ რობინსონმა გამოტოვა წელის ტკივილის გამო. მის არყოფნაში ვერაფერი


შარლოტი - ორლანდო

გააწყო ეულად მებრძოლმა ტიმ დანკანმა. მან 32 ქულა მოაგროვა, მაგრამ ეს გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. სერიაში ანგარიში გახდა 1:1

**საკრამენტო — იუტა 89:93**

**საკრამენტო:** დივაცი (21+6 მოხსნა), უებერი (18+9 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (16), ჯექსონი (8), ბიბი (5), პოლარდი (4), თურქოგლუ (2).

**იუტა:** მარშალი (19+8 მოხსნა), მელოუნი (18+12 მოხსნა), კირილენკო (15+6 მოხსნა), სტოქტონი (13+12 გადაცემა), რასელი (12), ოსტერტაგი (7), ლევისი (4).

„იუტამ" დაამტკიცა, რომ ბრძოლის გარეშე არაფერს დათმობს სერიის დასავლეთის კონფერენციის გამარჯვებულთან. ამ შეხვედრაში „იუტამ" იმარჯვა 7 ქულით (მატჩის მსვლელობაში მისი უპირატესობა 18 ქულამდე ავიდა). სერიაში ანგარიში გახდა 1:1.

**დეტროიტი — ტორონტო 96:91**

**დეტროიტი:** სტეკჰაუზი (31+5 მოხსნა), ეტკინსი (13), ბერი (13), რობინსონი (10), უილიამსი (10), რებრაჩა (6).

**ტორონტო:** ჩაილდსი (22+14 გადაცემა), დევისი (21+14 მოხსნა), ჯ. უილიამსი (13), კლარკი (12), პეტერსონი (9), ა. უილიამსი (8), ოლაჯიუონი (6).

ჯერი სტეკჰაუზი შეუდარებელი იყო და შეიძლება იმის თქმა, რომ მან ეულად გადაწყვიტა მატჩის ბედი. მარტო შეხვედრის მეორე ნახევარში მან 22 ქულა მოაგროვა. სერიაში ანგარიშია 2:0.

**დალასი — მინესოტა 122:110**

**დალასი:** ნოვიცკი (31+15 მოხსნა), ფინლი (28), ნეში (17+10 გადაცემა), ვან ექსელი (17), ლანფრენცი (14+12 მოხსნა), ნაჯერა (13).

**მინესოტა:** გარნეტი (31+18 მოხსნა), ბილაპსი (25), შერბიაკი (25), ნესტეროვიჩი (9+8 მოხსნა), ტრენტი (9), სმიტი (6+5 მოხსნა), პაკი (3), მიჩელი (2).

მინესოტა მეექვსე სეზონია პლეი-ოფში მონაწილეობს და ისევე როგორც წინა წლებში, ვერ შეძლებს პირველი წრის გავლას. გარნეტმა, ბილაპსიმ და შერბიაკმა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს, თუმცა ეს საკმარისი არ იყო გამარჯვების მოსაპოვებლად. ამ შეხვედრაში გაიელვა დირკ ნოვიცკიმ, რომელმაც 31 ქულას 15 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიუმატა. სერიის ანგარიშია 2:0.

**შარლოტი — ორლანდო 103:111(დდ.)**

**შარლოტი:** კემპბელი (27+13 მოხსნა), უესლი (24), დევისი (11+10 გადაცემა), მაგლოირი (10), ბროვნი (9+9 მოხსნა), ნაილონი (5).

**ორლანდო:** მაკგრეიდი (31+11 მოხსნა+7 გადაცემა), ჰადსონი (26), გარიტი (18), არმსტრონგი (13), იუვინგი (9+7 მოხსნა), უილიამსი (6), რაიდი (4), გრანტი (2), მილერი (2).

მეოთხე მეოთხედის ბოლოს „ორლანდოს" ლიდერს ტრეისი მაკგრეიდს კვლავ შეახსენა ტრავმამ თავი, რაც მისი თამაშის ხარისხშიც აისახა. მატჩის მიწურულს მისი ნატყორცნი ასცდა მიზანს და შეხვედრა გადავიდა ოვერტაიმში. აქ გარიტიმ დასაწყისშივე ჩააგდო 3-ქულიანი და დააწინაურა თავისიანები. ამას მოჰყვა ჰადსონის საშუალო მანძილიდან ტყორცნა და საბოლოო გამარჯვება. სერიის ანგარიშია 1:1. მესამე შეხვედრა გაიმართება ორლანდოში.

# ირაკლი ლაბაძე შეაჩერეს...

ბარსელონაში მიმდინარეობს საჩოგბურთო ტურნირი „Open Seat Godo 2002". რომლის საპრიზო ფონდი 955 000 დოლარია. ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია ესპანელი ხუან კარლოს ფერერო. ტურნირში მონაწილეობს ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე, რომელმაც პირველ წრეში ფრანგი ჩოგბურთელი ანტონი დიუპიუ დაამარცხა — 7:5, 6:4. მეორე წრეში ირაკლი შეხვდა ამ ტურნირზე მე-16 ნომრად განთესილ სომხური წარმოშობის არგენტინელ ჩოგბურთელს დავიდ ნალბანდიანს. დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა არგენტინელმა 7:5, 7:5. გაგაცნობთ მეორე წრის ზოგიერთ შედეგებს:

ჰიუიტი (ავსტრალია, 1) — ლოპესი (ესპანეთი) — 7:6, 6:2

ფერერო (ესპანეთი, 3) — აკასუსო (არგენტინა) — 6:4, 6:3

კანასი (არგენტინა, 5 ) — ბრუგერა (ესპანეთი) — 5:7, 6:3, 6:3

ლაპენტი (ეკვადორი, 9) — პერესი (ესპანეთი) — 6:4, 6:7, 7:5

მოია (ესპანეთი, 12) — გაუდენცი (იტალია) — 6:3, 6:3

პიოლინი (საფრანგეთი) — ჩელა (არგენტინა, 14) — 7:6, 6:2

კოსტა (ესპანეთი, 15) — მანტილია (ესპანეთი) — 6:3, 5:7, 6:4

ჰრბატი (სლოვაკეთი) — გროჟანი (საფრანგეთი, 4) — 6:4, 6:3.

# ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე

თურქეთის ქალაქ ანტალიაში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. გაგაცნობთ ტექნიკურ შედეგებს.

***ქალები. 48 კგ:*** 1. ზინოვიევი (უკრაინა) — 177,5 (80+97,5), 2. ულიანოვა (რუსეთი) — 172,5 (77,5+95,0), 3. ტაილანი (თურქეთი) — 167,5 (77,5+90,0).

***53 კგ:*** 1. დასდელენი (თურქეთი) — 205,0 (92,5+112,5), 2. ბილგინი (თურქეთი) — 185,0 (80,0+105,0), 3. აჯკაი (უნგრეთი) — 180,0 (75,0+105,0).

***58 კგ:*** 1. კლეინოვსკა (პოლონეთი) — 213 (90+123), 2. ლანკოვა-სიმოვა (ბულგარეთი) — 205 (87,5+117,5), 3. რაკი (უნგრეთი) — 205 (92,5+112,5).

***63 კგ:*** 1. სკაკუნი (უკრაინა) — 240 (ევროპის რეკორდი), (105+135 მსოფლიო რეკორდი), 2. ცაკირი (საბერძნეთი) — 230 (105+125), 3. კრივოვოი (ბულგარეთი) — 217,5 (97,5+120).

***ვაჟები. 56 კგ:*** 1. დერბენევი (ბელარუსი) — 277,5 (125,0+152,5), 2. არტუკი (თურქეთი) — 267,5 (122,5+145,0), 3. გრაბუცია (მოლდოვა) — 267,5 (122,5+145,0).

***62 კგ:*** 1. საბანისი (საბერძნეთი) — 305,0, 2. გეორგიევი (ბულგარეთი) — 297,5, 3. ლიხვალდი (უკრაინა) — 292,5.


სკაკუნი


კლეინოვსკა

# გამარჯვებული უკრაინელია

დუბაიში დასრულდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 35 ათასი დოლარი იყო. პირველობა მოიპოვა უკრაინელმა ალექსანდრე გოლოშაპოვმა, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა


გოლოშაპოვი

9 შესაძლებლიდან. მეორე-მეშვიდე ადგილები 6,5-6,5 ქულით გაიყვეს რუსეთელებმა ანდრეი ხარლამოვმა, ევგენი პიგუსოვმა, სერგეი ვოლკოვმა, მიხეილ ულიბინმა, ალექსეი კუზმინმა, ესტონელმა იან ელვესტმა და რუმინელმა ანდრეი ისტარტესკუმ.

# ტაისონ – ლიუისის შეხვედრას 19 ათასი მაყურებელი დაესწრება

მაიკ ტაისონისა და ლენოკ ლიუისის ორთაბრძოლის ბილეთების პირველი პარტია მყისვე გაიყიდა. 1875 ბილეთიდან დარჩა მხოლოდ 50, რომლებიც გავრცელდება ინტერნეტით. როგორც იცით, შეხვედრა გაიმართება 8 ივნისს მემფისში. რინგიდან ყველაზე მოშორებული ადგილი ღირს 250 დოლარი, ყველაზე ძვირი — 2400 დოლარი. დარბაზი „პირამიდა", სადაც ეს ორთაბრძოლა გაიმართება, 19 ათას მაყურებელს იტევს.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**26 აპრილი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი"(10.45, 22.40), ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (13.20), „მუნდიალის" (15.00), განვლილი კვირის ჰიტ-პარადის (15.30, 22.45), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადის (19.20), „იაპონია და კორეა 2002-ის" (22.00), იტალიის (0.30) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (11.45, 20.05), უიმბლდონის ვარსკვლავები: ბორის ბეკერი - პატრიკ კეში (15.00), ტაილანდური კრივი (17.50), ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (0.00), სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ფინალი. ვაჟები (1.45) ***EUROSPORT.*** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (11.30, 16.30, 19.30, 22.00, 2.45), ფეხბურთი. ერთი მსოფლიო - ერთი ჩემპიონატი (15.30), მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (21.00). ფეხბურთი: ამბები მსოფლიო ჩემპიონატებზე (0.00), მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები (0.15, 1.15 - საუკუნის მატჩი)

**27 აპრილი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თბილისის „დინამო" - ქუთაისის „ტორპედო" (18.00, რეპორტაჟი თბ. ბორის პაიჭაძის სახ. სტადიონიდან), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.40), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***РТР.*** „ფორმულა 1". მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან-პრი (2.45), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (17.55), „მუნდიალის" (18.55), გერმანიის (18.25, 22.40), უკრაინის (20.55), ესპანეთის (0.25), ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი (11.45), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. გერმანია - რუსეთი (16.00), ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (22.25), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი (0.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები (12.00, 13.00), „ჟილეტი" ოცნების გუნდი (14.00), ერთი მსოფლიო - ერთი ჩემპიონატი (14.30), ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (15.30, 19.00), მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (21.00), ველოსპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (22.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი - 2002-ის გზით. სამხრეთ კორეა - ჩინეთი. ამხანაგური მატჩი (2.15), ***VII არხი.*** სტუდია „ერა". ფეხბურთი: ინგლისის (21.00), გერმანიის (23.40), ესპანეთის (0.00) ჩემპიონატები.

**28 აპრილი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. „ჟილეტის" საფეხბურთო პროგრამა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.55), „მსოფლიო ფეხბურთი" (19.30), ***VII არხი.*** სტუდია „ერა". „ფორმულა 1" (17.00), ფეხბურთი. ესპანეთის (23.00), იტალიის (23.45) ჩემპიონატები. ***РТР.*** „ფორმულა 1". მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან-პრი (1.45), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13.15, 22.55), „იაპონია და კორეა - 2002-ის" (15.00), ჰოლანდიის (15.55), იტალიის (17.55, 0.55), რუსეთის (20.15), ჩემპიონთა ლიგის (22.00) მატჩები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. მრავალჭიდის ფინალები (11.45), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. გერმანია - რუსეთი (15.00), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი. პლეი-ოფი (22.55), ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (0.00), ***EUROSPORT.*** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (12.30, 15.30, 19.00, 21.00, 2.45), „ფორმულა 3000" მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი გამძლეობაზე (15.00, 21.30), მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი (17.30), ცხენოსნობა. „როლექს კენტუკი" (23.00), ახალი ამბები (2.00, 4.15).

**საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელი**

**ენვერ მალაზონია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს**

**თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის სპორტული ტანვარჯიშის სკოლა თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელ მაია გვარამაძეს მამის**

**ბურამ გვარამაძის**

**გარდაცვალების გამო.**



# კროსვორდი № 32

**თარაზულად:** 4. ქართული ხალხური თამაშობა, 7. ტერმინი ძიუდოში, 8. სპორტულ ბაზებზე სადემონსტრაციო სტენდი, 9. ცურვის ყაიდა, 10. რაგბის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 13. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი (1992), 16. თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 18. ცნობილი კანადელი მძლეოსანი - მორბენალი, 21. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 22. ნბა-ს ლეგენდარული კალათბურთელი, 23. აფრა, ანუ...

**შვეულად:** 1. მძლეოსნური იარაღი, 2. სამაგიდო თამაში, 3. 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, 5. ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში (1980), 6. ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, 11. სპორტსმენის ფიზიკური კომპონენტი, 12. წარსულში ცნობილი მთამსვლელი, პიმენ ..., 14. ჭიდაობის სახეობა, 15. თურქი ფეხბურთელი, 17. გამარჯვების ქალღმერთი, 19. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი. მწვრთნელი, 20. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 21. არგენტინელი ფეხბურთელი - მეკარე.

**კროსვორდი №31. პასუხები**

**თარაზულად:** 1. არაუ, 2. შუქური, 8. ყაზარაშვილი, 10. დავი, 13. ბურდული, 14. დევაძე, 16. გირი, 17. ჩარლტონი, 19. ცალქალამანიძე. **შვეულად:** 1. ახალდაბა, 3. ქართლი, 4. რაში, 5. ილიე, 6. რაი, 7. დიდავა, 9. გვარდიოლა, 11. ბერლინი, 12. შელია, 15. ყაიმი, 18. ალი.

# საჭადრაკო ამოცანა

მ. კუზნეცოვი

1969 წ.



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მფf7! მფ:e3 2. ლe5X.
1. ...მფd5 2. ლd4X

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩიჩილაძე